სსიპ - სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27/08/2024

MES 8 24 0001022309

აკადემიური საბჭოს
დადგენილება

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის #51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N7 ოქმის შესაბამისად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის #23 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში და აღნიშნული პროგრამის XIII პუნქტში „პროგრამის სტრუქტურა, კრედიტები და სასწავლო გეგმა“:

- სასწავლო კურსი აკადემიური წერა ნაცვლად მეორე სემესტრისა, შეთავაზებულ იქნას პირველ სემესტრში;
- სასწავლო კურსი ფილოსოფიის შესავალი ნაცვლად პირველი სემესტრისა, შეთავაზებულ იქნას მეორე სემესტრში;
- სასწავლო კურსი გადასახადები ნაცვლად მეხუთე სემესტრისა, შეთავაზებულ იქნას მესამე სემესტრში;
- სასწავლო კურსი SPSS-ის საბაზო კურსი ნაცვლად მეექვსე სემესტრისა, შეთავაზებულ იქნას მეხუთე სემესტრში;
- სასწავლო კურსი ეკონომიკური მოდელირება ნაცვლად მეშვიდე სემესტრისა, შეთავაზებულ იქნას მეექვსე სემესტრში;
- სასწავლო კურსი მაკროეკონომიკა 1 ნაცვლად მეხუთე სემესტრისა, შეთავაზებულ იქნას მესამე სემესტრში;
- სასწავლო კურსი მაკროეკონომიკა 2 ნაცვლად მეექვსე სემესტრისა, შეთავაზებულ იქნას მეოთხე სემესტრში;

- სასწავლო კურსი საერთაშორისო ეკონომიკა 1 ნაცვლად მეშვიდე სემესტრისა, შეთავაზებულ იქნას მეხუთე სემესტრში;
- სასწავლო კურსი საერთაშორისო ეკონომიკა 2 ნაცვლად მერვე სემესტრისა, შეთავაზებულ იქნას მეექვსე სემესტრში;
- სასწავლო კურსი საჯარო სექტორის ეკონომიკა ნაცვლად მეექვსე სემესტრისა, შეთავაზებულ იქნას მეოთხე სემესტრში;
- სასწავლო კურსი ეკონომიკური პოლიტიკა 1 ნაცვლად მეშვიდე სემესტრისა, შეთავაზებულ იქნას მეხუთე სემესტრში;
- სასწავლო კურსი ეკონომიკური პოლიტიკა 2 ნაცვლად მერვე სემესტრისა, შეთავაზებულ იქნას მეექვსე სემესტრში;
- სასწავლო კურსი ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 1 ნაცვლად მეშვიდე სემესტრისა, შეთავაზებულ იქნას მეხუთე სემესტრში;
- საბაკალავრო ნაშრომი/სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი: საქართველოს ეკონომიკა ნაცვლად მერვე სემესტრისა, შეთავაზებულ იქნას მეექვსე სემესტრში.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და განთავსდეს ვებ- გვერდზე.
4. საფუძველი: ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 26 აგვისტოს N9/01 გადაწყვეტილება.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორი ბერიძე მაკა